



## საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი

### 2014 წლის IV კვარტლის ანგარიში

❖ 2 ოქტომბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ხატმწერისა და არქიტექტორის გია ცხადაიას პერსონალური გამოფენა. გამოიფინა 100-მდე უნიკალური ხატწერის და გრაფიკული ნიმუში.



❖ 13 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რითიც საფუძველი ჩაეყარა პარტნიორობის საინტერესო და სასარგებლო ფორმას, კერძოდ, ლიტერატურის გაცვლას, ბიბლიოთეკათშორის მომსახურებასა და თანამშრომლების გატრეინინგებას ამ მიმართულებით.



❖ 11-13 ოქტომბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი დონაძე, ფრანგ და ესპანელ ეთნომუსიკოლოგებთან - სიმკა არომთან და პოლო ვალეჰოსთან ერთად, ტრადიციული მრავალხმინაობის მეშვიდე საერთაშორისო სიმპოზიუმის ფარგლებში იმყოფებოდა ფოლკლორულ ექსპედიციაში გურიასა და აჭარაში. ექსპედიციის მიზანი: ქართული პოლიფონიის საფუძვლების კვლევისათვის ქართული საგალობლებისა და ყოფის ტრადიციული სიმღერების "გრამატიკის" შესწავლა.



❖ 22 ოქტომბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ბაღში გაიმართა სალომე რაზიკაშვილის მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის „საუბარი პაპაჩემთან ვაჟა - ფშაველასთან“, პრეზენტაცია.

❖ 24 ოქტომბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ფერმწერ მხატვართა და მოქანდაკეთა ნამუშევრების გამოფენა - „შემოდგომა - 2014“. გამოიფინა ნიჭიერ მხატვართა და მოქანდაკეთა 53 ტილო და ქანდაკება.

❖ 25-26 ოქტომბერს, თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით, აბანოთ უბანში და რიყეზე საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ მოეწყო ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი; საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმთან ერთად რეწვის ერთობლივი გამოფენა; 20 თვითნასწავლი მხატვრისა და ოსტატის 350-ზე მეტი ნამუშევრის გამოფენა.

❖ 30 ოქტომბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიმართა მრავალმხრივი მოღვაწისა და დიდებული მამულიშვილის, გამოჩენილი ქართველი ქორეოგრაფის, საქართველოს სახალხო არტისტის, მკვლევრის, ინჟინერ-გამომგონებლისა და კონსტრუქტორის გიორგი სალუქვაძის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი წიგნის პრეზენტაცია.

❖ 7 ნოემბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ახალქალაქის წმიდა ზოსიმე კუმურდოელის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის პედაგოგთა და კურსდამთავრებულთა ნამუშევრების გამოფენა. გამოიფინა თექისა და ფარდაგის ტექნიკით შესრულებული 20-მდე ავტორის სხვადასხვა სახეობის ექსპონატი. ასევე კოლეჯის სტუდენტთა ექსპედიციის დროს ჯავახეთში გადაღებული ფოტომასალა.

❖ 13 ნოემბერს, „რეგიონების აღჭურვის პროექტის“ ფარგლებში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე თელავს ეწვია და კახეთის რეგიონის ფოლკლორულ ანსამბლებს, სახელოვნებო სამუსიკო სკოლებსა და კულტურის ცენტრებს მუსიკალური ინსტრუმენტები გადასცა.

მინისტრთან ერთად თელავში იმყოფებოდა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი დონაძე, რომელმაც მინისტრსა და მოსახლეობას რეგიონთან დაკავშირებული ცენტრის სამოქმედო გეგმა და ქართული ფოლკლორის განვითარების საკუთარი ხედვა გააცნო.



❖ 21 ნოემბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიმართა წიგნის - „ქართველ ებრაელთა ხალხური სიტყვიერების“ - პრეზენტაცია. (შემდგენელ - რედაქტორები: ეთერ თათარიძე, ამირან არაბული). კრებული საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ეგიდით გამოვიდა და მასში შესულია საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში დაცული დღემდე უცნობი მასალები.



❖ 24 ნოემბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე ეწვია. მინისტრმა დაათვალიერა ფოლკლორის ცენტრის ინფრასტრუქტურა - შენობა, საგამოფენო, საპრესკონფერენციო და სარეპეტიციო დარბაზები.





❖ 26 ნოემბერს, „რეგიონების აღჭურვის პროექტის“ ფარგლებში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე თიანეთს ეწვია და მცხეთა-თიანეთის რაიონის ფოლკლორულ ანსამბლებს, სახელოვნებო სამუსიკო სკოლებსა და კულტურის ცენტრებს მუსიკალური ინსტრუმენტები გადასცა. მინისტრთან ერთად თიანეთში იმყოფებოდნენ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე ანზორ ერქომაიშვილი და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი დონაძე, რომლებმაც ადგილობრივ სპეციალისტებსა და მოსახლეობას რეგიონთან დაკავშირებული ცენტრის სამოქმედო გეგმა და ქართული ფოლკლორის განვითარების საკუთარი ხედვა გააცნეს, ასევე ისაუბრეს საქართველოს მასშტაბით ფოლკლორის ცენტრის წარმომადგენლობის გახსნისა და სალოტბარო სკოლების დაარსების მნიშვნელობაზე.

❖ 29 ნოემბერს შერატონ მეტეხი პალასში ქალთა საერთაშორისო ასოციაციის მიერ ორგანიზებული წინა საშობაო - საახალწლო გამოფენა-გაყიდვა გაიმართა, რომელშიც სხვა კომპანიებთან და ორგანიზაციებთან ერთად საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმაც მიიღო მონაწილეობა. დამთვალიერებელთათვის იმპროვიზირებული კონცერტი გამართეს ფოლკლორულმა ანსამბლებმა "იალონი" და "დიდგორი".

❖ 3 დეკემბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა შშმ პირებს უმასპინძლა. სტუმართათვის კონცერტი გამართეს ბავშვთა ფოლკლორულმა კოლექტივმა "ფერხისამ" და ფოლკლორულმა ანსამბლმა "ზასიანმა".

კონცერტის დაწყებამდე, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში გაიმართა ენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაციის ბენეფიციარების იმპროვიზებული გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იქნა თექის ნამუშევრები, ნაჭრის თოჯინები, საახალწლო ნაძვის ხეები, საახალწლო მოსართავეები და სხვადასხვა აქსესუარები.



❖ 4 დეკემბერს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა თანამედროვე ქართველ კალიგრაფთა ნამუშევრების გამოფენა. გამოიფინა: ათი ავტორის 200-მდე ნიმუში, რომლებიც ეფუძნება ქართული კალიგრაფიისა და წიგნის ხელოვნების ტრადიციებს, ტექნიკურ სამუალებებს და სხვ.



❖ 5 დეკემბერს დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ხელშეწყობით, პროექტის „ტრადიცია - ეროვნული საგანძური“ - ფარგლებში თბილისელ მაცურებელს წარუდგენა აღდგენილი უძველესი ქართული (სვანური) ტრადიციული ჭიდაობა, ასევე დმანისის ფოლკლორული ანსამბლის „შგარიდას“ კონცერტი. პროექტის ავტორი - გურგენ გურჩიანი.

❖ 4 დეკემბერს , „რეგიონების აღჭურვის პროექტის“ ფარგლებში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე სამეგრელოს ეწვია და ქალაქ ფოთის ფოლკლორულ ანსამბლებს, სახელოვნებო სამუსიკო სკოლებსა და კულტურის ცენტრებს მუსიკალური ინსტრუმენტები გადასცა. მინისტრთან ერთად ფოთში იმყოფებოდნენ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე ანზორ ერქომაიშვილი და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი დონაძე, რომლებმაც ადგილობრივ სპეციალისტებსა და მოსახლეობას რეგიონთან მიმართებაში დაკავშირებული ცენტრის სამოქმედო გეგმა და ქართული ფოლკლორის განვითარების საკუთარი ხედვა გააცნეს, ასევე ისაუბრეს საქართველოს მასშტაბით ფოლკლორის ცენტრის წარმომადგენლობის გახსნისა და სალოტბარო სკოლების დაარსების მნიშვნელობაზე

❖ 4 დეკემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში - „ოდიში“ , - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის თვითმართვებლობის მხარდაჭერით, გაიმართა ღვაწლმოსილი ლოტბარისა და მომღერლის, „მეგრული სიმღერის პატრიარქის“, პოლიკარპე ხუბულავას 90 წლის საიუბილეო საღამო და მისი სახელობის ვარსკვლავის გახსნის ცერემონია.



❖ 11 დეკემბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა დედოფლისწყაროს ტრადიციული ხელსაქმის აღდგენის ცენტრი-სახელოსნოს - „ფესვების“ - ნამუშევართა გამოფენა. გამოიფინა ტრადიციული ორნამენტებით დამზადებული ინოვაციური ფორმის მაფრაშები, ხელჩანთები, ზურგჩანთები, სასუვენირე ნივთები და სხვა.

❖ 19 დეკემბერს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა თვითნასწავლი მხატვრის ლია სიხარულიძის ნამუშევართა პერსონალური საშობაო გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ექსპონატი: ისტორიული დოკუმენტების მულაჟები და მინიატურები; თამარ მეფისა და ერეკლე II-ის სიგელები და ხელრთვები; პეტრე ბაგრატიონის ავტოგრაფი; გიორგი II-ის 1072 წლის შეწირულობათა განახლების წიგნის შიო მღვიმის მონასტრისადმი (ეტრატი); 1123-1124 წლების დავით აღმაშენებლის ანდერძი შიო მღვიმისადმი (ეტრატი); სხვადასხვა სახარება; ასევე გამოიფინება ლია სიხარულიძის ნაივური ფერწერული ტილოები.

- მიმდინარეობს მუშაობა დავით ჯავრიშვილის ანთოლოგიაზე
- მიმდინარეობს მუშაობა მონოგრაფიაზე - „როსტომ გოგოლაძე“
- მიმდინარეობს მუშაობა მონოგრაფიაზე - „ანდრო სიმაშვილი“
- მიმდინარეობს მუშაობა მონოგრაფიაზე - „პოლიკარპე ხუბულავა“
- მიმდინარეობს მუშაობა მონოგრაფიაზე - „რაჟდენ ხუნდაძე“
- მიმდინარეობს მუშაობა კრებულზე - „ქართული საეკლესიო გალობის ანთოლოგია“
  
- საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა შეიცვალა ვებ გვერდის მიმასამართი [www.folk.gov](http://www.folk.gov). მიმდინარეობს მუშაობა ცენტრის ახალი ვებ.გვერდის შევსებაზე. მომხმარებელს უკვე საშუალება აქვს გაეცნოს აღნიშნულ საიტზე განთავსებულ მასალებს.
  
- მიმდინარეობს ინტენსიური საქმიანობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საქართველოს რეგიონებში წარმომადგენლობების გახსნასთან დაკავშირებით.
  
- ❖ რეგულარულად ვუწევთ რეკომენდაციებს შემოქმედებით თუ საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა ანსამბლების ხელმძღვანელებს, მომღერლებს, ქორეოგრაფებსა და მოცეკვავეებს, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებსა და მხატვრებს, მთქმელებს, სახალხო თეატრების რეჟისორებს და ასევე სხვადასხვა რაიონის კულტურის სამსახურის უფროსებს.
  
- ❖ ყოველდღიურად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის განახლებული ელექტრონული არქივის შესავსებად.